საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

დადგენილება №9/2015
2015 წლის 23 მარტი

ქ. თბილისი

„საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 2 მარტის №10/2012 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" მე-20 მუხლის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1

„საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 2 მარტის №10/2012 დადგენილებაში (სსმ ვებგვერდი, 05/03/2012, 010320010.15.008.016028) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1. დებულების მე-7 მუხლის მე-4 პუნქტს დაემატოს „გ" ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„გ) ხელახალი კონკურსის შემთხვევაში - კონკურსის გამოცხადებიდან 10 დღე, ხოლო თუ დანიშნულია არჩევნები - კონკურსის გამოცხადებიდან 2 დღე".

2. დებულების მე-8 მუხლს დაემატოს 2^1 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„2^1. ხელახალი კონკურსის შემთხვევაში საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს ცესკო ირჩევს საკონკურსო საბუთების წარდგენის ვადის დასრულებიდან 14 დღის ვადაში (ხოლო თუ დანიშნულია არჩევნები, კონკურსის გამოცხადებიდან 7 დღის ვადაში).".

მუხლი 2

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე	**თამარ ჟვანია**
კომისიის მდივანი	**გიორგი ჯავახიშვილი**